

ენაში ანალიტიზმის წარმოქმნის მიზეზები. დეგრადაცია თუ განვითარება? (თანამედროვე ქართული ენისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი ტენდენციის მაგალითზე)

გიორგი მელაძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
giorgi.meladze.4@iliauni.edu.ge

აბსტრაქტი

ენების განვითარებაზე და სინთეზური, მორფოლოგიურად მდიდარი და მრავალფეროვანი ტიპიდან ანალიზურ, თითქოსდა მორფოლოგიურად „გამარტივებულ“ ტიპზე მათი გადასვლის შესახებ ენათმეცნიერებაში ოდითგანვე ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები გამოითქმებოდა.

რომანტიკული მიმდინარეობის წარმომადგენლები: იაკობ და ვილჰელმ გრიმები, იოჰან გ. ჰერდერი და სხვანი (Rastorguyeva, 1983, pp. 20-21), მიიჩნევდნენ, რომ ძველი ინდოევროპული და გერმანიკული ენების დიაქრონიული განვითარება და თანამედროვე ენებად მათი ჩამოყალიბების პროცესი არსებითად მათს გადაგვარებას და დეგრადაციას წარმოადგენდა. ამგვარი დეგრადაციის მკაფიო გამოხატულებად მათ ამ ენების გრამატიკული ფორმების, ბრუნებისა და უღლების მრავალფეროვნებისა და სიმდიდრის დაკარგვა ესახებოდათ. თუ ერთმანეთს შევადარებთ ანგლოსაქსურ (ძველინგლისურ) და თანამედროვე ინგლისურ, ლათინურსა და იტალიურ, ძველ ზემოგერმანულსა და თანამედროვე გერმანულ, ანდა პროტოგერმანიკულთან ძალზე ახლოს მყოფ გოთურსა და, ვთქვათ, თანამედროვე შვედურ ენებს, თვალნათლივ დავინახავთ, რას ეფუძნებოდა ლინგვისტიკის „რომანტიკოსთა“ ამგვარი მიდგომა.

მეორე მხრივ, ცნობილი დანიელი ენათმეცნიერი ოტო იესპერსენი მიიჩნევდა, რომ ენაში მიმდინარე დიაქრონიული პროცესები და ცვლილებები არსებითად მის დასხვეწაში და პროგრესში მდგომარეობს და რომ ეს პროცესები ენის ეფექტიანობის უცილობელ ზრდას იწვევს. ითვლება, რომ მის ამგვარ შეხედულებებზე გარკვეული ზეგავლენა ჩარლზ დარვინისეულმა ევოლუციის თეორიამაც მოახდინა. იესპერსენის ფუნდამენტური ნაშრომის: „ენა, მისი ბუნება, განვითარება და წარმოშობა“ XVII თავს ასევე ეწოდება: „პროგრესი თუ გადაგვარება?“ (Progress or Decay?) (Jespersen, 1922, pp. 319-337). სწორედ ამ თავმა და მისმა საერთო სულისკვეთებამ შთაგვაგონა, წინამდებარე ნაშრომი ამგვარად დაგვესათაურობინა.

თავად ჩვენი ნაშრომის მიზანია, განვიხილოთ ანალიზური კონსტრუქციები, რომლებიც საკმაოდ მომრავლებული თანამედროვე ქართულში, თუმცა ტრადიციული ქართული ენათმეცნიერება მათ ან ვერ ამჩნევს, ან მათ ქართული ენის ნორმების დარღვევად, კალკებად და შეცდომებად მიიჩნევს და შეძლებისდაგვარად ებრძვის. სტატიაში შევეცდებით გავაანალიზოთ, რა ენობრივი თუ საკომუნიკაციო აუცილებლობა განაპირობებს ამგვარი ანალიზური კონსტრუქციების გაჩენასა და გამრავლებას კონკრეტულად ქართულში და ზოგადად ენებში, როგორც ასეთში, და გამოვთქვამთ ჩვენს მოსაზრებასაც იმის თაობაზე, ენაში ამგვარი პროცესების მიმდინარეობა და საზოგადოდ ასეთი (ანალიზური) მიმართულებით ენის განვითარება მის გადაგვარებას და დეგრადაციას იწვევს, თუ პირიქით, უფრო ქმედითსა და გამომსახველს ხდის მას და აზრის მკაფიოდ და გასაგებად გამოთქმის აუცილებლობითაა განპირობებული.

საკვანძო სიტყვები: ანალიტიზმი; დიაქრონია; ლექსიკოგრაფია; NLP; კორპუსული ლინგვისტიკა

The Formation of Analyticity in Language. Degradation or Development?

(On the example of certain trends in the modern Georgian language)

George Meladze
Ilia State University
giorgi.meladze.4@iliauni.edu.ge

Abstract

The issue of the development of languages and their transformation from the synthetic, morphologically rich and multiform type to the analytic one, which may appear morphologically “simplified”, has always been extremely controversial in linguistic circles.

The representatives of the romantic trend in linguistics, such as Jacob and Wilhelm Grimms, Johann G. Herder and others (Rastorguyeva, 1983, pp. 20-21) held that the diachronic development of the Old Indo-European and Germanic languages and the process of their transformation into modern languages constituted in fact their decay and degradation. They saw the loss of the variety and richness of the grammatical forms, declension, and conjugation paradigms by these languages as a clear example of such degradation. If we compare the Anglo-Saxon (Old English) language with the modern English, or Latin with Italian, Old High German with the modern German, or Gothic (almost identical to Proto-Germanic) with, say, the modern Swedish language, we will clearly see what this approach of the Romanticists was based upon.

Otto Jespersen, a well-known Danish linguist on the other hand believed that the diachronic processes and changes occurring in the languages represent in fact their improvement and progress and that the said processes cause the constant increase in the efficiency of language. It is believed that his views on the subject were also influenced by Charles Darwin’s evolutionary theories. Chapter XVII of Jespersen’s masterpiece “Language: Its Nature, Development, and Origin” is titled “Progress or Decay?” (Jespersen, 1922, pp. 319-337). The title of our proposed paper was inspired by this very chapter of Jespersen’s book and its general spirit.

The purpose of our paper itself is to discuss analytic constructions which have become quite abundant in the modern Georgian language, although the traditional Georgian linguistics either ignores them, or regards them as the violation of the set norms of the Georgian language, as *calques* or mistakes, trying hard to eradicate them. In our paper we will try to analyse, what linguistic or communicative circumstances necessitate the appearance

and spread of such analytic constructions in languages generally and in the Georgian language in particular; we will also express our opinion as to whether such analytic trends in diachronic linguistic change constitute indeed the decay and degradation of languages, or, on the contrary, such development only make language more efficient and expressive and are caused by the necessity to clearly and understandably express one's thoughts and ideas verbally.

Keywords: analyticity; diachrony; lexicography; NLP; corpus linguistics

1 შესავალი

როგორც ცნობილია, ენების განვითარების ძირითადი ხაზია სინთეზური ტიპიდან ანალიზურ ტიპზე გადასვლა. მრავალი ენის თანამედროვე ვარიანტები უფრო მეტი ანალიტიზმით გამოირჩევა, ვიდრე ამავე ენების ძველი, 300, 400, 500 და ა.შ. წლის წინანდელი ვარიანტები, რომლებშიც, თავის მხრივ სინთეზური ფორმები ჭარბობს. ძველი ზემოგერმანული და თანამედროვე გერმანული, ძველი ინგლისური (ანგლოსაქსური) და თანამედროვე ინგლისური, ანდა ლათინური და მისგან განვითარებული ნებისმიერი თანამედროვე რომანული ენა (იტალიური, ესპანური, ფრანგული ან რუმინული), ძველსლავური და თანამედროვე ბულგარული ამის კარგი მაგალითია.

დიაქრონიულ პროცესში სინთეზური, მორფოლოგიურად მდიდარი და მრავალფეროვანი ტიპიდან ანალიზურ, თითქოსდა მორფოლოგიურად „გამარტივებულ“ ტიპზე ენათა გადასვლის შესახებ ენათმეცნიერებაში ოდითგანვე ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები გამოითქმებოდა. რომანტიკული მიმდინარეობის წარმომადგენლები: იაკობ და ვილჰელმ გრიმები, იოჰან გ. ჰერდერი და სხვანი (Rastorguyeva, 1983, pp. 20-21), მიიჩნევდნენ, რომ ძველი ინდოევროპული და გერმანიკული ენების მიერ დროთა განმავლობაში განცდილი ცვლილებანი და თანამედროვე ენებად მათი ჩამოყალიბების პროცესი არსებითად მათს გადაგვარებას და დეგრადაციას წარმოადგენდა. ამგვარი დეგრადაციის მკაფიო გამოხატულებად მათ ამ ენების გრამატიკული ფორმების, ბრუნებისა და უღლების მრავალფეროვნებისა და სიმდიდრის დაკარგვა ესახებოდათ.

თუ (ზემომოყვანილ ენათა მაგალითების გარდა) ერთმანეთს შევადარებთ პროტოინდოევროპულთან ძალზე ახლოს მყოფ სანსკრიტს, პრუსიულსა და ლიტვურს, პროტოგერმანიკულთან ძალზე ახლოს მყოფ გოთურს, ერთი მხრივ და, ვთქვათ, თანამედროვე მაკედონიურ, ნორვეგიულ, შვედურ ენებს და თუნდაც თანამედროვე ჰინდი ენას, მეორე მხრივ, თვალნათლივ დავინახავთ, რას ეფუძნებოდა ლინგვისტიკის „რომანტიკოსთა“ ამგვარი მიდგომა.

მეორე მხრივ, ცნობილი დანიელი ენათმეცნიერი ოტო იესპერსენი (“Otto Jespersen”, 2022; McElvenny, 2013; Rastorguyeva, 1983, p. 292) მიიჩნევდა, რომ ენაში მიმდინარე დიაქრონიული პროცესები და ცვლილებები არსებითად მის დახვეწაში და პროგრესში მდგომარეობს და რომ ეს პროცესები ენის ეფექტიანობის უცილობელ ზრდას იწვევს. ითვლება, რომ მის ამგვარ შეხედულებებზე გარკვეული ზეგავლენა ჩარლზ დარვინისეულმა ევოლუციის თეორიამაც მოახდინა. იესპერსენის ფუნდამენტური ნაშრომის: „ენა, მისი ბუნება, განვითარება და წარმოშობა“ XVII თავს ასევე ეწო-

დება: „პროგრესი თუ გადაგვარება?“ (Progress or Decay?) (Jespersen, 1922, pp. 319-337). სწორედ ამ თავმა და მისმა საერთო სულიკვებამ შთაგვაგონა, წინამდებარე ნაშრომი ამგვარად დაგვესათურობინა.

მართლაც, თუ ერთმანეთს შევადარებთ გოთურსა და ანგლოსაქსურს, სადაც ზმნას ორი გრამატიკული დრო, აწმყო და ნამყო ჰქონდა ერთი მხრივ, და თანამედროვე ინგლისურს, სადაც ანალიზური ფორმების განვითარების წყალობით დაახლოებით 16 გრამატიკული დრო (tenses) დასტურდება, გაგვიჭირდება ინგლისური ზმნის სისტემის მიერ განცდილ ცვლილებებს რეგრესი და დეგრადაცია ვუწოდოთ. თანამედროვე ინგლისურში ზმნის უღლება მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის პირველი, მეორე და მესამე პირის მიხედვით მნიშვნელოვნადაა რედუცირებული, სამაგიეროდ მოქმედების დასრულებულობისა და განგრძობითობის სხვადასხვა უმცირესი ნიუანსების გამოხატვის თვალსაზრისით თანამედროვე ინგლისური ზმნა თავის ანგლოსაქსურ „წინაპართან“ შედარებით გაცილებით უფრო ეფექტიანი და გამომსახველია. ვერც იმას ვიტყვით, რომ არსებითებისა და ნაცვალსახელების ბრუნების რედუცირებას და წინადადების წევრთა შორის ურთიერთმიმართებათა „ანალიზურად“ გამოხატვას წინდებულებისა და წინადადებაში სიტყვათა თანამიმდევრობის მეშვეობით ინგლისური ენის გამომსახველობა რაიმენაირად დაეკნინებინოს ან შეემცირებინოს.

ამდენად, პირადად ჩვენც, პრაქტიკულად, ოტო იესპერსენის მოსაზრებისკენ ვიხრებით და მიგვაჩნია, რომ დროთა განმავლობაში ენა იხვეწება და უფრო გამომსახველი ხდება. ენაში ამგვარი პროცესების მიმდინარეობა და ანალიზური მიმართულებით მისი განვითარება, ჩვენი აზრით, ენის გადაგვარებას და დეგრადაციას კი არ იწვევს, პირიქით, მას უფრო ქმედითსა და გამომსახველს ხდის და, როგორც ასეთი, აზრის მკაფიოდ და გასაგებად გამოთქმის აუცილებლობითაა განპირობებული. პრინციპში, მხოლოდ ლოგიკურია, რომ ეს ასეც უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელი წარმოსადგენია, რატომ უნდა იყოს ენა, ნიშანთა სისტემა, რომელსაც ადამიანები საურთიერთოდ და ინფორმაციის გასაცვლელად იყენებენ, ასე ვთქვათ, დეგრადაციისა და ენტროპიისაკენ მიდრეკილი.

ვადიარებთ, რომ ჩვენ პირადად ლათინური, გოთური, ანგლოსაქსური და ძველსკანდინავიური ლინგვისტური თვალსაზრისით გაცილებით უფრო მრავალფეროვნად, საინტერესოდ და მიმზიდველად გვეჩვენება, ვიდრე თანამედროვე ინგლისური, იტალიური, ნორვეგიული ან შვედური, მაგრამ ენის განვითარება, როგორც ჩანს, პრაგმატული მოსაზრებებითაა განპირობებული, და არა ლინგვისტური მრავალფეროვნებისა და გრამატიკული ეფუოტიკის მაძიებელ მკვლევართა სურვილებით.

2 ანალიტიზმის გაჩენა, როგორც ენის განვითარების ისტორიული კანონზომიერება

როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება ენობრივი ანალიტიზმის მიმართ, ძნელია იმ ფაქტის უგულებელყოფა, რომ ენათა განვითარება სინთეზური ტიპიდან ანალიზურ ტიპზე თანდათანობითი გადასვლის გზით ხდება. ამაში უბრალოდ ენათა განვითარებაზე დაკვირვება და ენების დიაქრონიულ ჭრილში განხილვა გვარწმუნებს.

საინტერესოა, რომ დაკვირვებულმა თვალმა ანალიზური კონსტრუქციები ისეთ ენებშიც შეიძლება აღმოაჩინოს, რომლებიც სამართლიანად ითვლება საკმაოდ არქაულად და სინთეზური აგებულებით გამორჩეულად.

2.1 განგრძობითი დროის „ჩანასახები“ გოთურსა და ანგლოსაქსურში

ვისაც ვულფილას გოთური სახარების რამდენიმე თავი მაინც წაუკითხავს, ალბათ შემჩნეული ექნება შემდეგი ტიპის კონსტრუქციები: jah þan was miþ im Paitrus standands jah warmjands sik (იოან. XVIII.18); iþ Seimon Paitrus was standands jah warmjands sik (იოან. XVIII, 25); jah was sitands miþ andbahtam jah warmjands sik at liuhada (მარკ. XIV.54) (*Wulfila Project*, 1997). ეს ფრაგმენტები სახარების იმ ცნობილი ეპიზოდიდანაა, როდესაც იესოს დაკავების შემდეგ პეტრე მოციქული ცეცხლთან თბება და მას მღვდელმთავრის ერთ-ერთი მსახური იცნობს.

აქ **standands**, **sitands** და **warmjands** გოთური ზმნების **standan** („დგომა“), **sitan** („ჯდომა“) და **warmjan** („გათბობა“) აწმყო დროის მიმდევრობებია და ეს კონსტრუქციები თანამედროვე ინგლისურად სიტყვა-სიტყვით რომ ვთარგმნოთ, მივიღებთ: **was standing/sitting and warming himself** (!). ამ გრამატიკულ დროს თანამედროვე ინგლისურში ნამყოფ განგრძობითი დრო (past continuous tense) ეწოდება.

შეიძლება აქ სახარების ბერძნული ორიგინალის გავლენასთან გვექონდეს საქმე: ბერძნულ ტექსტშიც (რომელიც დაახლ. ჩვ. წ. IV საუკუნეში შესრულებული გოთური თარგმანის წყაროდ ითვლება) და ლათინურ ვულგატაშიც (რომელსაც ვულფილა, როგორც ჩანს, არ იყენებდა), იოანეს სახარების შესაბამის ადგილებში აწმყო მიმდევრობებია ნახმარი: შესაბამისად ἦν δὲ καὶ ὁ πέτρος μετὰ αὐτῶν ἑστὼς καὶ θερμαινόμενος; erat autem cum eis et Petrus stans, et calefaciens se (იოან. XVIII.18) და ἦν δὲ σίμων πέτρος ἑστὼς καὶ θερμαινόμενος; erat autem Simon Petrus stans, et calefaciens se (იოან. XVIII.25), სადაც ἑστὼς, θερμαινόμενος და stans, calefaciens (*Wulfila Project*, 1997). აწმყო დროის მიმდევრობებია. ოღნავ სხვანაირადაა საქმე მარკოზის სახარების ციტირებულ ფრაგმენტში (მარკ. XIV.54), სადაც ბერძნულ ტექსტში აწმყო მიმდევრობებია ნახმარი: καὶ ἦν συγκαθήμενος μετὰ τῶν ἀποστόλων καὶ θερμαινόμενος πρὸς τὸ φῶς; ხოლო ლათინურში – ზმნის პირიანი ფორმები: et **sedebat** cum ministris ad ignem, et **calefaciebat** se (*ხაზგასმა ყველგან ჩვენია*) (*Wulfila Project*, 1997; *STEPBible*, 2022).

გავიმეორებთ, შეიძლება აქ ბერძნული ორიგინალის გავლენასთან გვექონდეს საქმე, მაგრამ საკმაოდ არქაულ გოთურ ენაში თანამედროვე ინგლისური past continuous-ის, ნამყოფ განგრძობითი დროის, ზუსტი ანალოგის ხილვა საყურადღებო და რამდენადმე მოულოდნელია.

მსგავსი მაგალითის მოყვანა ანგლოსაქსურიდანაც შეიძლება, თანაც ტექსტში, რომელიც თავად ანგლოსაქსური პერიოდის ინგლისშია შექმნილი დაახლოებით ჩვ. წ. VIII საუკუნეში. ამბავში პოეტ **კედმონის** (Caedmon) შესახებ, რომელიც ანგლოსაქსი თეოლოგისა და მემკთიანის, **ღირსი ბედას** (ძვ. ინგლ. Bæda, ინგლ. Bede the Venerable) მიერ დაწერილ „ინგლისელი ხალხის საეკლესიო ისტორიაში“ (Bede the Venerable, 1907) შედის, ვხვდებით ასეთ პასაჟს: “he forlet þæt hus þæs zebeorscipes ond ut wæs zonzende to neata scipene, þara heord him wæs þære neahte beboden” („და-

ტოვა სახლი, სადაც ნადიმი იმართებოდა და გაემართა ბოსლისკენ, სადაც მას იმ ღამით საქონლის ჯოგისთვის უნდა მიეხედა“). **wæs zonzende** აქ ზუსტად შეესატყვისება თანამედროვე ინგლისურს **was going** (ზმნის to go „სიარული, სვლა“ ნამყო განგრძობითი დროის მესამე პირის მხოლოდითი რიცხვის ფორმა).

იმავე ტექსტში, რამდენიმე სტრიქონით ქვემოთ ვკითხულობთ: eft he cwæð, se ðe wið hine sprecende wæs („შემდეგ თქვა მან, ვინც მას [კედმონს] ელაპარაკებოდა“). აქაც **wæs sprecende** ზუსტად შეესატყვისება თანამედროვე ინგლისურს **was speaking** (ზმნის to speak „ლაპარაკი“ ნამყო განგრძობითი დროის მესამე პირის მხოლოდითი რიცხვის ფორმა).

ამ მაგალითებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ანალიზური კონსტრუქციები (განგრძობითი დროის ფორმები ამ კონკრეტულ შემთხვევებში) საკმაოდ ადრეულ პერიოდში (შეგახსენებთ, რომ დაახლ. IV და VIII საუკუნის, შესაბამისად, გოთურ და ანგლოსაქსურ ძეგლებთან გვაქვს საქმე) შეიძლება გამოჩნდეს სინთეზური ფორმით გამორჩეულ ენებშიც კი.

3 ანალიზური კონსტრუქციები თანამედროვე ქართულში. კებრძოლოთ თუ ვადიაროთ?

თავად ჩვენი ნაშრომის თემა, უნდა ითქვას, არა იმდენად დიაქრონიული ლინგვისტიკის საკითხების კვლევაა, ან იმის ანალიზი, ენებში ანალიტიზმის გაჩენა განვითარება და ენის სრულყოფაა, თუ მისი გადაგვარება და დეგრადაცია (აქ ჩვენთვის, როგორც ზემოთ მოკლედ აღვნიშნეთ, ყველაფერი ნათელია), არამედ უფრო იმის გარკვევა, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება ამავე ანალიზური ტიპის კონსტრუქციების მიმართ, რომლებიც (გოთურის, ანგლოსაქსურის, ინგლისურის, იტალიურისა და შვედურის დარად) სულ უფრო ხშირად ჩვენს მშობლიურ ქართულ ენაშიც ჩნდება (ეს ჩვენ, გასაგები მიზეზების გამო, უპირატესად ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით გვაინტერესებს, თუმცა ამაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ, წინამდებარე ნაშრომის დასკვნით ნაწილში ვისაუბრებთ).

საქმე ისაა, რომ ანალიზური კონსტრუქციები თანამედროვე ქართულში საკმაოდაა მომრავლებული, თუმცა ტრადიციული ქართული ენათმეცნიერება მათ ან ვერ ამჩნევს, ან მათ ქართული ენის ნორმების დარღვევად, კალკებად და შეცდომებად მიიჩნევს და შეძლებისდაგვარად ებრძვის. ყოველ შემთხვევაში, ამგვარი კონსტრუქციების სწორი მეცნიერული ანალიზი, ჩვენი აზრით, არ ხდება (განცხადებები ტიპისა „**ქართულ ენას ასეთი კონსტრუქციები არ სჭირდება!**“ მეცნიერულ ანალიზად და ინტერპრეტაციად ვერ ჩაითვლება).

ქვემოთ შევეცდებით მოკლედ გავაანალიზოთ, რა ენობრივი თუ საკომუნიკაციო აუცილებლობითაა განპირობებული ამგვარ ანალიზურ კონსტრუქციათა გაჩენა და გამრავლება კონკრეტულად ქართულში და ვეცდებით ისიც განვსაზღვროთ, რა პოტენციური რისკებისა და უარყოფითი შედეგების შემცველია ქართულ ენაში მორფოლოგიური თუ ლექსიკური სიახლეების იგნორირება და/ან მათთვის ბრძოლის გამოცხადება „ქართული ენის სიწმინდის დაცვის“ ლოზუნგით.

უნდა ითქვას, რომ ყოველთვის ვიყავით დაინტერესებული დიქტონიით და კონკრეტულად იმით, თუ როგორ და რატომ ხდება ენებში ისეთი პატარ-პატარა ცვლილებები, რომლებიც თანდათან გროვდება და გარკვეული ხნის შემდეგ იმგვარ განსხვავებებს იწვევს, როგორიცაა განსხვავება ანგლოსაქსურსა და თანამედროვე ინგლისურს, ანდა ლათინურსა და იტალიურს შორის.

ამდენად, თუკი ქართულ ენაში რაიმე საინტერესო სტრუქტურულ სიახლეს, რაიმე ახალ ტენდენციაზე მიმანიშნებელ თუნდაც მცირე, მაგრამ, ჩვენი აზრით, არსებით და ენობრივად საყურადღებო ინოვაციას შევამჩნევდით, ამას, ყოველთვის ჯერონად აღვნიშნავდით და ხშირად ჩავიწერდით კიდეც.

ამიტომ არ გაგვჭირვებია არგუმენტირებულად შეპაექრება, როდესაც რამდენიმე წლის წინ ჩვენი „ლექსიკოგრაფიული ცენტრის“ ერთ-ერთ ფეისბუქ-გვერდზე ენობრივი საკითხებისადმი მიძღვნილი პოსტის ერთ-ერთ ფრაზას: **«გასულ კვირას, ჩვენი თანამშრომლების გასვლით სამუშაო შეხვედრაზე წლიური ანგარიშის განხილვისას, რამდენიმე საგულისხმო საკითხი გამოიკვეთა და განცხადება გაკეთდა ახალი სამოქმედო გეგმის შესახებ»** შემდეგი კომენტარები მოჰყვა, როგორც ჩანს, კონსერვატიული ლინგვისტურ-სტილისტური შეხედულებების მქონე ინტერნეტ-მომხმარებელთაგან: „განცხადება გაკეთდა-სტილისტური ხარვეზი“ და სწორი ვერსიაა «განაცხადეს» (სტილი დაცულია, გ.მ.).

ამ შენიშვნებს მაშინ ჩვენი დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონის ბლოგზე გავუცით პასუხი. რამდენადაც ეს ბლოგი მოცემული მომენტისთვის სხვადასხვა მიზეზების გამო არ ფუნქციონირებს, გვინდა აქ მოკლედ გავიმეოროთ ის არგუმენტები, რომლებიც მაშინ საკმაოდ გულდასმით ჩამოვაყალიბეთ, და, გარდა ამისა, დავუმატოთ ზოგიერთი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თუ, ერთი მხრივ, რატომ ჩნდება ქართულში ანალიზური კონსტრუქციები ტიპისა „განცხადება გაკეთდა“, „ცვლილება მოახდინა“, „გაკეთებული მაქვს“ და ა.შ., და, მეორე მხრივ, იმის თაობაზე, თუ რატომ არ ღირს ქართულ ენაში გაჩენილი ყოველგვარი სიახლისა და ინოვაციის წინააღმდეგ გაღაშება.

ამდენად, მოდით კიდევ ერთხელ განვიხილოთ ვნებითი გვარის ანალიზური კონსტრუქცია „განცხადება გაკეთდა“, რომელიც მაშინ კრიტიკის საგანი გახდა. არა იმიტომ, რომ რამდენიმე წლის წინანდელ ხანმოკლე პოლემიკას დაუბრუნდეთ, არამედ იმის გამო, რომ აღნიშნული ტიპის კონსტრუქციები და ენაში მათი გაჩენის ლოგიკა წინამდებარე სტატიის ერთ-ერთი ძირითადი თემაა.

„განცხადება გაკეთდა“ ზმნის ვნებითი გვარის ფორმაა. ვნებითი გვარი ანუ პასივი იმ დროს გამოიყენება, როდესაც წინადადებაში აზრობრივად მთავარი და წინა პლანზე წამოსაწევი არის მოქმედების ობიექტი (ამ შემთხვევაში „განცხადება“). მოქმედების ობიექტის განსაკუთრებულად გამოყოფა იმით მიიღწევა, რომ პასივში მდგომი წინადადების ქვემდებარედ მოქმედების ობიექტია ხოლმე გამოტანილი, თავად ზმნა კი ვნებით გვარში იხმარება („განცხადება გაკეთდა“). ვნებით გვარს საზოგადოდ მაშინ იყენებენ, როდესაც მოქმედების რეალური შემსრულებელი (ჩვენს შემთხვევაში განცხადების გამკეთებელი) ან ცნობილი არ არის, ან რაიმე მოსაზრებებიდან გამომდინარე, მისი დასახელება ან არ სურთ, ან საჭიროდ არ მიაჩნიათ. მაგალითად, უკანასკნელი ცნობების გამოშვებაში ხშირად შეიძლება გავიგონოთ დაახლოებით შემდეგნაირი ფრაზა: **„ამ თემაზე ცოტა ხნის წინ სპეციალური გან-**

ცხადება გაკეთდა საგარეო საქმეთა სამინისტროში“. მთავარი აქ თავად განცხადება, მისი შინაარსი და საგარეო საქმეთა სამინისტროა. ეს განცხადება კი, როგორც ასეთი, შეიძლება ვინმე ნაკლებად მნიშვნელოვან პრეს-სპიკერს ან სამინისტროს რიგით თანამშრომელს წაეკითხა ჟურნალისტებისთვის და ტელერეპორტიორებისთვის და მისი ვინაობა შესაძლოა არც ჟურნალისტებისთვის არ ყოფილიყო ცნობილი, და არც პრეს-კონფერენციაზე არ დასახელებულიყო.

ჩვენი მაშინდელი ფეისბუქ-გვერდის კომენტირებულ ფრაზაშიც ასეთივე შემთხვევა-სთან გვქონდა საქმე: ფრაზაში **«გასულ კვირას, ჩვენი თანამშრომლების გასვლით სამუშაო შეხვედრაზე წლიური ანგარიშის განხილვისას, რამდენიმე საგულისხმო საკითხი გამოიკვეთა და განცხადება გაკეთდა ახალი სამოქმედო გეგმის შესახებ»** ასევე არ არის დასახელებული მოქმედების კონკრეტული შემსრულებელი, ანუ აღნიშნული არ არის, ვინ იყო განცხადების ავტორი. აზრობრივად მნიშვნელოვნად მიჩნეულია და წინა პლანზეა გამოტანილი **„გამოკვეთილი საგულისხმო საკითხები“** (გამოკვეთილი, სავარაუდოდ, კოლექტიური განხილვისა და მსჯელობის პროცესში) და **„განცხადებები“**, ხოლო ფაქტობრივი მოქმედი პირები არც ცნობილი არ ჩანს, და არც მათი დასახელება არ არის საჭიროდ მიჩნეული. ამ ტიპის იმპერსონალურ წინადადებას მოქმედებით გვარში ვერაფრით ვერ გადავიყვანთ. (განსაკუთრებით ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეიძლება მოქმედებით გვარში გადმოიცეს აზრი ფრაზისა

„...რამდენიმე საგულისხმო საკითხი გამოიკვეთა“).

მოკლედ აღვნიშნავდით, რომ მოქმედებით გვარშიც **„განცხადება გააკეთა“** ან, ვთქვათ, **„ცვლილება განახორციელა“** ყოველთვის ვერ ჩანაცვლება **„მარტივი“** ზმნით ტიპისა **„განაცხადა“** ან **„შეცვალა“**. მაგალითად, წინადადება **„ბიზნესმენმა მოულოდნელი, სენსაციური და სკანდალური განცხადება გააკეთა“** ვერ გარდაიქმნება იმგვარად, რომ **„განცხადების გაკეთების“** ნაცვლად **„განაცხადა“** ვთქვათ. თანაც **„განაცხადა“** ყოველთვის მოითხოვს ობიექტს, დამატებას, ანუ იმის დაკონკრეტებას, თუ რა განაცხადა მავანმა, მაშინ როდესაც **„განცხადება გააკეთა“** თვითმხარი, აზრობრივად დასრულებული ფრაზაა და რაიმე დამატებით ინფორმაციას არ საჭიროებს. ასევე, წინადადება **„მინისტრმა თავისი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი არაერთი რადიკალური ცვლილება განახორციელა“** ვერაფრით ვერ შეიცვლება წინადადებით, რომელშიც შემასმენელი **„შეცვალა“** იქნება (**„მნიშვნელოვნად და აუცილებლად რადიკალურად შეცვალა ბევრი რამ“** კომიკურად ჟღერს, იმედია ამგვარი **„ტრადიციული“** და **„სტილისტურად უხარვეზო“** კონსტრუქციების აგებას არავინ ეცდება). ზოგადად, ენებში (აქ მართლაც ქართულს არ ვგულისხმობთ) ანალიზური კონსტრუქციების გაჩენას სწორედ ამგვარი რთული აზრობრივი ნიუანსების გადმოცემის აუცილებლობა იწვევს ხოლმე, სხვათა შორის.

ამ მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ ანალიზური კონსტრუქცია **„ცვლილება განახორციელა“** და *მის*თ. სინტაქსურად უფრო „ღია“ და მოქნილია და ატრიბუტების შეუზღუდავად დამატების საშუალებას იძლევა, რაც შეიძლება გარკვეულ კონტექსტებში აზრობრივად აბსოლუტურად აუცილებელი იყოს, მაშინ როდესაც **„შეცვალა“** და **„განაცხადა“** ტიპის მარტივი შემასმენლების შემცველ წინადადებაში ამგვარ ატრიბუტებს ვერ ჩავრთავთ. სიტუაციებიც, რომლებშიც ამგვარი ანალიზური კონსტრუქციების ხმარება აუცილებელია, საკმაოდ სტანდარტული და

ხშირია, მათ გვერდს ვერ ავუვლით და თუ რაიმე მეტ-ნაკლებად რთულ და საინტერესო თემაზე აზრის მკაფიოდ და ადვილად გასაგებად გამოთქმა გვსურს, ასეთი კონსტრუქციები აუცილებლად დაგვჭირდება.

ამდენად, ამ ტიპის ანალიზური კონსტრუქციები კალკები და სტილისტური ხარვეზები კი არ არის, არამედ ენობრივი, საკომუნიკაციო აუცილებლობის შედეგად წარმოქმნილი შესიტყვებები, რომლებიც აზრის მკაფიოდ და გასაგებად გამოხატვის აუცილებლობითაა ნაკარნახები. მათი გამოყენება ზემოთ აღწერილ სიტუაციებში აუცილებელი და უალტერნატივოა და ენაში მათს გამოჩენასა და ხმარებასაც თავისი ლოგიკა აქვს.

კიდევაც რომ დავუშვათ, რომ ასი ან ორასი წლის წინ ქართულში ნაკლებად ხშირი იყო იმპერსონალური წინადადებებისა და ვნებითი გვარის ხმარება, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დღეს მათი გამოყენება რაიმე სახის „სტილისტურ ხარვეზად“ ან შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს. სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილისა და გრიგოლ ორბელიანის დროიდან საუკუნეები გავიდა, მსოფლიოც შეიცვალა და ქართული ენაც აღარაა ისეთი, როგორიც მათ დროს იყო.

ჩვენ მიერ აღწერილის მსგავსმა სიტუაციებმა გამოიწვია სხვა ენებშიც ვნებითი გვარის, ფრაზული ზმნების და მრავალი სხვა ტიპის ანალიზური კონსტრუქციების გამოჩენა და დამკვიდრება. ასეთი კონსტრუქციები თავის დროზე არც გოთურში, ძველსკანდინავიურში, ძველ ზემოგერმანულში და ანგლოსაქსურში არ იყო, მაგრამ უფრო გვიანდელი ფორმაციის ენებში ისინი დროთა განმავლობაში სწორედ იმიტომ გაჩნდა, რომ ეს ენობრივმა აუცილებლობამ მოითხოვა, და არა იმიტომ, რომ რომელიმე ეს ენა დეგრადირდა და გადაგვარდა. ანალოგიურ სიტუაციასთან გვაქვს საქმე ქართულ ენასთან მიმართებითაც. გულუბრყვილო იქნებოდა ვინმეს ეფიქრა, რომ ენათა განვითარების ზოგადი კანონები თუ კანონზომიერებანი ქართულ ენაზე შეიძლება არ ვრცელდებოდეს.

ცალკე, ძალიან მოკლედ, გვინდა შევხვოთ „გაკეთებული მაქვს“, „ნამყოფი ვარ“, „უკვე დამთავრებული მქონდა“ ტიპის რთულ ანალიზურ კონსტრუქციებს, რომელთაც ტრადიციული ქართული ნორმატიული ენათმეცნიერება აგრეთვე არა სწყალობს. არადა ისინი ერთი მხრივ მყარად და საფუძვლიანადაა დამკვიდრებული თანამედროვე ქართულ ენაში, მეორე მხრივ კი მათ გარეშე ხშირად აზრის გასაგებად ჩამოყალიბება შეუძლებელი იქნება. საუბარი გვაქვს სიტუაციებზე, როდესაც საჭიროა ხაზის გასმა იმისათვის, რომ ერთი მოქმედება ან სიტუაცია მეორე მოქმედებაზე ან სიტუაციაზე უფრო ადრე შესრულდა და დასრულდა, ან მომავალში შესრულდება და დასრულდება სხვა მოქმედებაზე ადრე. „მე როდესაც მოვედი, შენ უკვე წასული იყავი“, „შენ რომ დაბრუნდები, მე სტატიის წერა უკვე დამთავრებული მექნება“, „საზღვარგარეთ ბევრჯერ ვარ ნამყოფი“. სხვა ენებში არსებული პერფექტის / სრული დროის ტიპის ამ კონსტრუქციებს სინთეზური, „არაანალიზური“ კონსტრუქციებით ადვილად ვერ შევცვლით.

პრინციპში, შეიძლება ვთქვათ „საზღვარგარეთ ბევრჯერ ვყოფილვარ“ მაგრამ თურმეობით „თურმეს“ კონოტაცია აქვს და, რეალურად, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უპირატესობას, როგორც წესი, „ნამყოფი ვარ“ ტიპის კონსტრუქციებს ანიჭებენ ხოლმე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს კონტექსტებში თურმეობითი რამდენადმე არქაულად და მოძველებულად ჟღერს.

ვერ ვიტყვით, „მე როდესაც მოვედი, შენ უკვე წახვედი“, „შენ რომ დაბრუნდები, მე სტატიის წერას უკვე დავამთავრებ“ – ასეთი ქართულით ძირითადად ენის ცუდად მცოდნეები (ვისთვისაც ქართული მშობლიური ენა არაა) უფრო მეტყველებენ.

„გაკეთებული მაქვს“, „ნამყოფი ვარ“, „დაწერილი მექნება“ და მისთ., პრაქტიკულად ქართული პერფექტია და იგი ქართულში ისევე გაჩნდა, როგორც თავის დროზე ინგლისურში, გერმანულში და იტალიურში. ამ ანალიზური დროითი ფორმის „შერისხვა“ და „კანონგარეშედ გამოცხადება“ მიაშიტობა და რეალობისაგან მოწყდომა იქნება.

4 თანამედროვე ქართული ენა ლექსიკოგრაფიისა და ბუნებრივი ენის დამუშავების (NLP) მეთოდების თვალსაზრისით

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ენის (კონკრეტულად ქართულის) დიაქრონიული განვითარება და მასში მომხდარი ცვლილებები, ჩვენი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, გარდა წმინდა ენათმეცნიერულისა, აგრეთვე (და უპირატესად) ლექსიკოგრაფიული და ლექსიკოლოგიური (და არა მარტო) თვალსაზრისითაც გვაინტერესებს.

ვერავის გავაკვირვებთ თუ ვიტყვით, რომ კომპიუტერული და ციფრული რევოლუციის ეპოქაში ვცხოვრობთ. ამას ყველანი აშკარად ვხედავთ და ვგრძნობთ. არსებულ ვითარებაში ნებისმიერი ენისათვის, თუკი მისი სრულფასოვნად განვითარებისა და თვით სამომავლო არსებობის უზრუნველყოფა გვსურს, სასიცოცხლოდ აუცილებელია ციფრულ სამყაროში ადგილის დამკვიდრება, მისი სრული თუ არა, შეძლებისდაგვარად მაქსიმალური გაციფრება მაინც.

ეს აგრეთვე გულისხმობს სრულფასოვანი ორენოვანი ქართულ-უცხოური და უცხოურ-ქართული ლექსიკონების შექმნას, რომლებშიც ქართულ ენაში დღეისათვის რეალურად არსებული სიტუაცია, დღევანდელი ქართულის რეალური ლექსიკური მარაგი და მორფოლოგია იქნება ასახული. ეს განსაკუთრებით ქართულ-უცხოენოვანი ლექსიკონებისთვისაა მნიშვნელოვანი, ვინაიდან თუ ამა თუ იმ ქართულ-გერმანულ, ქართულ-რუსულ ან ქართულ-ფრანგულ ლექსიკონში ესა თუ ის აქტუალური და ხშირად ხმარებული ქართული სიტყვა შეტანილი არ იქნა, ეს ლექსიკონის ხარისხსაც დააქვეითებს და იმ უცხოელსაც გაურთულებს საქმეს, ვინც ამ ლექსიკონის დახმარებით ქართული ენის შესწავლას ან ქართული ტექსტის გაგებას შეეცდება.

ორენოვან ლექსიკონებთან მჭიდროდაა დაკავშირებული ბუნებრივი ენის დამუშავებისა (natural language processing, NLP) და ავტომატური თარგმნის პროგრამული ინსტრუმენტების შემუშავების თემა. ამ დარგებს კი, თავის მხრივ, დიდი მნიშვნელობა აქვთ ენის დიგიტალიზაციის და ციფრულ განზომილებაში დამკვიდრების საქმეში.

ყველა ეს დარგი, თანამედროვე ციფრულ ეპოქაში, დაკავშირებულია ვრცელი ტექსტური კორპუსების შექმნასა და განვითარებასთან. ჩვენს შემთხვევაში უადრესად მნიშვნელოვანია ისეთი ქართული ტექსტური კორპუსის ან კორპუსების არსებობა, რომლებიც ოპტიმალური იქნება თავისი **რეპრეზენტაციულობის** თვალსაზრისით. თუ ქართულ ენაში ხშირად ხმარებული და აქტუალური ესა-თუ-ის სიტყვა,

გამოთქმა ან კონსტრუქცია „კალკად“, „სტილისტურ ხარვეზად“ იქნება მიჩნეული გასული საუკუნის დასაწყისის დროინდელი, ან სულაც 2-3 საუკუნის წინანდელი ენობრივი ნორმებიდან გამომდინარე და შედეგად ამისა ამგვარი სიტყვებისა და გამოთქმების შემცველი ფრაზები და ტექსტები ქართულ კორპუსებში ვერ მოხვდება, ეს ამ კორპუსების რეპრეზენტაციულობას მნიშვნელოვნად დააქვეითებს. ტექსტური კორპუსების არარეპრეზენტაციულობა კი არსებითად დაამახინჯებს ქართული ენის რეალურად არსებულ სურათს და გამოუსადეგრად და ნაკლებად სასარგებლოდ გახდის თავად ამ კორპუსებსაც და იმ ლექსიკონებსა თუ ავტომატური თარგმნის პროგრამებსაც, რომლებიც ჩვენს ციფრულ ეპოქაში ძირითადად ერთენოვან ან პარალელურ ტექსტურ კორპუსებს ეფუძნება.

ამდენად, აუცილებელია არა მარტო ზემოთ აღწერილი ანალიზური კონსტრუქციების „ლეგალიზება“ (ამაში უპირატესად რეალობისთვის თვალის გასწორება და რეალური ლინგვისტური ფაქტის არსებობის აღიარება იგულისხმება), არამედ აგრეთვე რეალური, ცოცხალი თანამედროვე ქართული ენის ლექსიკური მარაგის ადეკვატურად დაფიქსირება.

საინტერესო იქნებოდა შეგვეფასებინა, თუ რა სიტუაციაა ქართულ ფილოლოგიაში ამ თვალსაზრისით. როგორც ლექსიკოგრაფი, ცალკე გამოვყოფთ ქართული განმარტებითი და ქართულ-უცხოენოვანი ლექსიკონების თემას.

თითქმის ოცდაათი წელია, ლექსიკოგრაფიის დარგში ვმუშაობთ, ამდენად კოლეგების მიერ შექმნილი ლექსიკოგრაფიული პროდუქტების ოდნავი კრიტიკაც კი ჩვენთვის საკმაოდ საჩოთირო და უხერხულია. მიუხედავად ამისა, ქართული ენის ინტერესებიდან გამომდინარე, სათქმელი პირდაპირ უნდა ითქვას (*sed magis amica veritas*, ასე ვთქვათ).

მაგალითად, ბოლო წლებში საკმაოდ აქტუალური სიტყვა „გასაჯაროება“ (არც პირიანი, არც უპირო ფორმებით) არ არის ასახული არც დონალდ რეიფილდის დიდ ქართულ-ინგლისურ ლექსიკონში, არც „ქართულ ლექსიკონში“ (*ქართული ლექსიკონი*, n.d.), არც ქართულ-ოსურ და ოსურ-ქართულ ლექსიკონში (*ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული ლექსიკონი*, n.d.), არც ქართულ-თურქულ და თურქულ-ქართულ ლექსიკონში (*ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონი*, n.d.), არც ქართულ-აზერბაიჯანულში (*ქართულ-აზერბაიჯანული ლექსიკონი*, n.d.) და არც ბევრ სხვა ლექსიკონში, რომელთა ჩამოთვლასაც აქ აღარ მოვყვებით.

სავარაუდოდ, საქმე ისაა, რომ ყველა ეს ლექსიკონი, როგორც ჩანს, ამა თუ იმ ფორმით, თავისი სიტყვანის განსასაზღვრავად ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს (ქ.ე.გ.ლ.) იყენებს. ამგვარი დასკვნის საფუძველს ამ ლექსიკონების სტრუქტურისა და მასალის მოწოდების ხასიათის არაერთი თავისებურება იძლევა.

მართლაც, თავად ქ.ე.გ.ლ.-ში ვერ ვნახავთ სიტყვებს „**ასაჯაროებს**“, „**გასაჯაროებს**“, „**გასაჯაროვდება**“ და ა.შ., მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტში ქ.ე.გ.ლ.-ის მინიმუმ ორი ონლაინვერსია დევს (რომელთა უახლესი სიტყვებით შევსებაც ძნელი არ უნდა იყოს), **ა-ბ** და **გ** ასოები კი რედაქტირებული და განახლებული ფორმით წიგნებადაცაა დაბეჭდილი.

ქ.ე.გ.ლ.-ში სათანადოდ არ არის წარმოდგენილი სიტყვა „**გადამისამართება**“, „**გადამისამართებს**“ და ა.შ., რომელიც ჩვეულებრივი და საკმაოდ ხშირად ხმარებული

სიტყვაა როგორც სატელეკომუნიკაციო („ზარის გადამისამართება“), ასევე ზოგადი („ენდოკრინოლოგთან გადამამისამართეს“) მნიშვნელობით. ერთადერთი, რაც ამ ლექსიკონის განახლებულ (ნაბეჭდ და ონლაინ-) ვარიანტებში იძებნება, არის შემდეგი ლაკონიური სტრიქონები:

გადამისამართება (გადამისამართებისა) ხელოვნ. მისამართის შეცვლა. შეიძლება ითქვას, რომ ამ გამოთავისუფლებული თანხების გადამისამართება მოხდა (**«პარლ.»**). (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 2010). აბრევიატურა „ხელოვნ.“ ამავე ლექსიკონის შემოკლებათა სიის მიხედვით „ხელოვნურს“ ნიშნავს. ალბათ იგულისხმება, რომ იმ დროს, როდესაც ქ.ე.გ.ლ.-ის ახალი რედაქციის ასო გ-ზე მიმდინარეობდა მუშაობა, ქართული პარლამენტარები გაუმართავი და **ხელოვნური** (რასაც არ უნდა ნიშნავდეს ეს) ენით მეტყველებდნენ.

დოკუმენტის **დახარვეზების** მნიშვნელობა (რაც დღესდღეობით საკმაოდ აქტუალური ცნების აღმნიშვნელი, ხშირად ხმარებული, ძირითადად საკანცელარიო ხასიათის ტერმინია) ქ.ე.გ.ლ.-ში საერთოდ არ არის ასახული. „დახარვეზებაზე“ წერია მხოლოდ შემდეგი:

დახარვეზება (დახარვეზებისა) 1. კუთხ. (ქართლ.) სახელი დაახარვეზებს ზმნის მოქმედებისა, ხარვეზების დატოვება ხვნის დროს, ხარვეზებით მოხვნა. სახნავის დახარვეზება. 2. სტამბ. სტრიქონების დაცილება ერთმანეთისაგან შპონით (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, n.d.).

შესაბამისად, ეს სიტყვები („გასაჯაროება“, „გადამისამართება“, „დახარვეზება“) არც ზემოთ ნახსენებ ლექსიკონებში არაა შეტანილი.

ეს იმის მიუხედავად, რომ „გუგლის“ ძიება „გასაჯაროებაზე“, „გადამისამართებაზე“ და „დახარვეზებაზე“ ასობით და ათასობით „ჰიტს“ იძლევა.

გამოდის, რომ ქართული ენით დაინტერესებულმა თურქმა, აზერბაიჯანელმა ან ოსმა უკანასკნელი ცნობების გამოშვებაში სიტყვა „გასაჯაროება“ რომ გაიგონოს და მისი მნიშვნელობის გაგება სცადოს, არსებული ქართულ-თურქული, ქართულ-აზერბაიჯანული ან ქართულ-ოსური ლექსიკონების მეშვეობით ვერაფერს გაარკვევს. ანალოგიურად, ვინმეს პროექტი ან დოკუმენტი, ან სულაც საბაჟოზე მანქანა რომ **დაუხარვეზონ**, მართოდენ ამ ლექსიკონების მეშვეობით ვერც კი მიხვდება, რაშია საქმე (თუკი ეს სიტყვა რაიმე სხვა გზით მისთვის უკვე ცნობილი არ არის).

ცხადია, რომ რა პრინციპებითაც არ უნდა ეხელმძღვანელათ ამ ლექსიკონთა შემდგენლებს სიტყვანის შერჩევისას, მათი მეთოდის შედეგად ლექსიკონში შესატანი სიტყვების სიის მიღმა საკმაოდ აქტუალური და ხშირად ხმარებული სიტყვები დარჩენილა.

ამავე დროს ქ.ე.გ.ლ.-ში ბევრია ისეთი შედარებით ნაკლებად ხშირად ხმარებული სიტყვები, როგორიცაა „ააბაბანებს“, „ააბლატუნებს“, „ააგურგურებს“ და სხვ. (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 2008). დიდ და ყოვლისმომცველ ლექსიკონში, როგორიც ქ.ე.გ.ლ.-ია, ალბათ „აბლატუნება“ და „აგურგურება“ უნდა იყოს, მაგრამ ალბათ „გასაჯაროების“ და „გადამისამართების“ ტიპის გაცილებით უფრო ხშირად ხმარებული და თანამედროვე სიტყვებიც უნდა იყოს ასახული. მით უმეტეს,

რომ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, როგორც ჩანს, სხვა ლექსიკონების სიტყვანების საფუძვლად გამოიყენება.

საკმაოდ კარგად არის წარმოდგენილი „გასაჯაროება“ და „გადამისამართება“ ქართულ ეროვნულ კორპუსში (GNC), თანაც ტექსტები, რომლებშიც ეს სიტყვები ჩნდება, ძირითადად ოფიციალურია (კანონები, პოლიტიკური ტექსტები, მობილურ კავშირთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტაცია და ა.შ.) (ქართული ენის ეროვნული კორპუსი, 2012).

„აბაბანება“ და „აგურგურება“, მეორე მხრივ, GNC-ში, ამ ეტაპზე მაინც, არ იძებნება.

ეს ყოველივე ალბათ გვაჩვენებს, თუ რა მიმართულებითაა საჭირო მოძრაობა. ლექსიკონები ტექსტურ კორპუსებს უნდა ეფუძნებოდეს, თავად კორპუსები კი მაქსიმალურად რეპრეზენტაციული უნდა იყოს. იგივე „დახარვეზებაზე“ უამრავი ჰიტი იძებნება „გუგლის“ საძიებო სისტემით, ქართულ ეროვნულ კორპუსში კი ეს სიტყვა ვერ აღმოვაჩინეთ. სიტყვები „ბორდერიზაცია“ და „დაანონსება“ პირადად ჩვენ გვაღიზიანებს, მაგრამ მედიაში იმდენად ხშირად იხმარება, რომ მათი ამა თუ იმ ფორმით დოკუმენტირება და ასახვა ალბათ სასურველი იქნებოდა, თუმცა მათი მიგნება ქართულ ეროვნულ კორპუსში არ მოხერხდა. სავარაუდოდ, ზედმეტი არ იქნება ქართული ეროვნული კორპუსის მოცულობისა და რეპრეზენტაციულობის გაზრდა, რათა მასში თანამედროვე ქართული ლექსიკა კიდევ უფრო სრულად იქნეს ასახული.

5 დასკვნა

როგორც ვხედავთ, თანამედროვე ქართული ლექსიკა სრულად არ არის ასახული ქართულ ლექსიკონებში და, პრინციპში, არც ქართულ ეროვნულ კორპუსში. მრავალი ხშირად ხმარებული სიტყვა შეტანილი არაა თანამედროვე ლექსიკოგრაფიულ წყაროებში და არც ტექსტურ კორპუსებში.

ლექსიკონებისა და ტექსტური კორპუსების მიღმა ჩვენ მიერ ზემოთ საკმაოდ დეტალურად განხილული ანალიზური კონსტრუქციებიც თუ დარჩა, მაშინ განსხვავება ლექსიკონებში და კორპუსებში ასახულსა და რეალურ ქართულ ენას შორის უკვე სახიფათოდ გაიზრდება. ეს კი თავის მხრივ უარყოფითად აისახება ქართულ-უცხოური ლექსიკონებისა და ქართული ტექსტური კორპუსების ხარისხზე. მანქანური თარგმნისთვისაც ასეთი ნაკლოვანი წყაროები ადეკვატურ მონაცემთა ბაზად არ გამოდგება. ამგვარი ხარვეზები ქართული ენის დიგიტალიზაციაში კი ჩვენს ეპოქაში საკმაოდ არასასურველია და არასახარბიელო შედეგები შეიძლება მოუტანოს ენის განვითარებას, რაზეც ზემოთაც ითქვა.

ზოგადად, ქართული ენა უნდა აღვიქვათ ისეთად, როგორიც ის არის, და არა ისეთად, როგორიც იგი ჩვენი აზრით უნდა იყოს. განსაკუთრებით, როდესაც საქმე თანამედროვე ენის ციფრულად დაფიქსირებას ეხება. გარდა იმისა, რომ ბოლო წლებში სამყარო მნიშვნელოვნად შეიცვალა და უამრავი ახალი რეალია და მასთან დაკავშირებული სრულიად ახალი ტერმინები გაჩნდა, ქართულ ენასთან დაკავშირებით ამ ენაზე მოლაპარაკენი დამატებითი გამოწვევების წინაშე ვდგავართ. საბჭოთა პერიოდში ქართული ენის გამოყენების სფერო შეზღუდული იყო და ჩვენი ენა, პრაქტიკულად, ეროვნული უმცირესობის ენის სტატუსამდე იყო ჩამოქვეითებული.

ქართულს დიდი საბჭოთა იმპერიის ფარგლებში ისეთივე შეზღუდული ფუნქცია და გამოყენების სფერო ჰქონდა, როგორიც, ვთქვათ, უელსურს შეიძლება ჰქონდეს დიდ ბრიტანეთში. არ არსებობდა ქართული ჯარი, არ არსებობდა ქართული საელჩოები საზღვარგარეთ და არც ქართული დიპლომატია. საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროში რუსული ენა დომინირებდა. სახელმწიფო დაწესებულებებში სულ უფრო მეტად გადადიოდნენ რუსულად საქმეთა წარმოებაზე. სამწუხაროდ, ეს ბუნებრივიც იყო – რუსულად შედგენილ ოფიციალურ დოკუმენტს, ვთქვათ, ე.წ. შრომის წიგნაკს, გასავალი მთელს უზარმაზარ საბჭოთა კავშირში ჰქონდა, ქართულ საბუთს კი საქართველოს ფარგლებს გარეთ ვერაფერში გამოვიყენებდით.

საბედნიეროდ, ჩვენი ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქართულმა ენამ დაიბრუნა სახელმწიფო ენის სტატუსი და რეალური ფუნქცია, რამაც მის განვითარებას მძლავრი სტიმული მისცა. ჩნდება და აქტიურ ხმარებაშია თავისუფალ მეწარმეობასთან, საბაზრო ეკონომიკასთან, საერთაშორისო ურთიერთობებთან და სხვა ისეთ დარგებთან დაკავშირებული ტერმინები, რომელ დარგებშიც ქართული ენის გამოყენება ადრე მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული (იგივე სამხედრო სფერო).

ამას ემატება კომპიუტერულ და ციფრულ რევოლუციასთან დაკავშირებული ახალი სიტყვები, გამოთქმები თუ წმინდა ტექნიკური ტერმინები, რომლებიც, თანამედროვე ტექნოლოგიზებული ცხოვრების ყაიდიდან გამომდინარე, ჩვენს ყოველდღიურობაში აქტიურად შემოდის.

ასეთ ვითარებაში ლექსიკოგრაფია და კორპუსული ლინგვისტიკა მაქსიმალურად ინკლუზიური უნდა იყოს და ფართოდ უნდა უღებდეს კარს ახალი რეალიების აღმნიშვნელ ახალ სიტყვებსა და გამოთქმებს. იგივე უნდა ითქვას ზემოთ განხილულ ანალიზურ კონსტრუქციებზეც, რომლებიც, საბოლოო ჯამში, საზოგადოებრივი თუ ეკონომიკური ცხოვრების გამრავალფეროვნებისა და განვითარების შედეგაცაა.

თუკი ვინმე საუკუნეების წინანდელი ენობრივი ნორმებით თანამედროვე ქართული ენის ლექსიკისა და მორფოლოგიის შეზღუდვას შეეცდება და, ვთქვათ, იმავე „განცხადების გაკეთების“ ან „ცვლილების განხორციელების“ ტიპის გამოთქმებს კალკებად და სტილისტურ შეცდომებად ან ხარვეზებად მოგვინათლავს, მისმა ასეთმა ქმედებებმა ლიტერატურული ქართული ენის განვითარება მნიშვნელოვნად შეიძლება შეაფერხოს.

ლიტერატურული თუ ოფიციალური ქართულის „დროში გაყინვა“ კი ზემოთ მოხსენიებული ნეგატიური შედეგების გარდა, პოტენციურად, სხვა, უფრო სერიოზული საფრთხის მომტანიც შეიძლება გახდეს. ლიტერატურულ / ოფიციალურ ენასა და სასაუბრო, არაოფიციალურ ენას შორის სხვაობის გაღრმავებამ შეიძლება საბოლოო ჯამში ე.წ. დიგლოსია, ანუ ორენოვნება გამოიწვიოს. დიგლოსია ეს არის სიტუაცია, როდესაც ოფიციალურ, ნორმატიულ ენაზე მოლაპარაკეთა და ენის სასაუბრო, ხალხში გავრცელებულ ვარიანტზე მოლაპარაკეებს ერთმანეთის არ ესმით, ან ურთიერთგაგება მნიშვნელოვნად აქვთ გართულებული. ასეთი სიტუაცია იყო ცოტა ხნის წინ საბერძნეთში, სადაც განსხვავება წიგნურ, ძველბერძნულ ენასთან ახლოს მდგომ, **კათარევუსას** (Καθαρεύουσα) და სალაპარაკო **დიმოტიკის** (Διμοτική) შორის სერიოზულ სირთულეებს ქმნიდა (“Greek language question”, n.d.).

მსგავსი მდგომარეობა იყო ცოტა ხნის წინ შვედეთშიც, სადაც სალიტერატურო შვედურს, **სკრიფტსპროკს** (skriftspråk) და სასაუბრო შვედურს, **ტალსპროკს** (talspråk) შორის არსებითი გრამატიკულ-მორფოლოგიური და ფონეტიკური განსხვავება აღინიშნებოდა.

ამ დიგლოსიისა და მის მიერ გამოწვეული პრობლემების დაძლევა კი ორივე ამ ქვეყანაში საკმაოდ მტკივნეული პროცესი გამოდგა. საბერძნეთში ხანგრძლივი დავის, კამათისა და დაპირისპირების შემდეგ ე.წ. **სტანდარტული თანამედროვე ბერძნული ენა** შეიმუშავეს, რომელიც როგორც *კათარევუსას*, ასევე *დიმოტიკის* ელემენტებს შეიცავს. შვედურში დამკვიდრდა ენის ვარიანტი, რომელსაც **ახლანდელი შვედური** (nusvenska) ეწოდება. უნდა ითქვას, რომ მთლიანობაში შვედურის ეს ვარიანტი ტალსპროკთან უფრო ახლოსაა, ვიდრე სკრიფტსპროკთან (“Swedish language”, n.d.).

დიგლოსიის ზემოქმედება შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს პერიოდი საფრანგეთის ისტორიიდან, სადაც XVI საუკუნემდე (!) ფრანგული ენა ლათინურის დამახინჯებულ თუ ბარბაროსულ ფორმად ითვლებოდა და ოფიციალური ენა ლათინური იყო. ამ რამდენადმე კურიოზულ ვითარებას, როგორც ცნობილია, ბოლო მოუღო საფრანგეთის მეფე ფრანსუა I-მა (1494 — 1547), რომელმაც 1530 წელს ფრანგული ქვეყნის ოფიციალურ ენად გამოაცხადა და სახელმწიფო დაწესებულებებში მისი გამოყენება სავალდებულოდ გახადა (“Francis I of France, n.d”).

სასურველია, ამგვარი პრობლემების წინაშე ქართველებიც არ აღმოვიჩნდეთ და „სწორი“, არქაულ ენობრივ ნორმებზე დაფუძნებული წიგნური ქართულისაგან არავინ შეგვიქმნას ახალი ლათინური ან კათარევუსა, რომელიც საზოგადოების ცოცხალ, სასაუბრო ენაზე მეტყველი ნაწილისთვის გაუგებარი იქნება. აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ ქართული სალიტერატურო ენის ხალხისათვის ხელმისაწვდომად და ადვილად გასაგებად ქცევა იყო.

იმედია, ენის დიაქრონიული განვითარებისადმი და თანამედროვე ქართულში მიმდინარე ლექსიკური, სინტაქსური თუ სხვა პროცესებისადმი სწორი და ადეკვატური მიდგომა ჩვენს მშობლიურ ენაში ძველისა და ტრადიციულის, ერთი მხრივ, და ახლისა და აქტუალურის, მეორე მხრივ, ისეთ ჰარმონიულ სინთეზამდე მიგვიყვანს, რისი შედეგიც იქნება რეალური ქართული ენა, რომელიც არც თავის ძირძველ ფესვებს არ მოსწყდება და არც თანამედროვე ენობრივ თუ სოციალურ რეალობას. ასეთი „დაბალანსებული“ ენა კი უფრო ადვილად და უპრობლემოდ გადავა ციფრულ ფორმატში, რაც ქართულისთვის მდგრადი და ჰარმონიული განვითარების საწინდარი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა

Bede the Venerable (1907). *Ecclesiastical History of England*. London: George Bell and Sons.

<https://www.ccel.org/ccel/bede/history.html>

Francis I of France. (n.d.). In *Wikipedia. The Free Encyclopedia*.

https://en.wikipedia.org/wiki/Francis_I_of_France (ბოლო ნახვა 18.11.2022)

Greek language. (n.d.). In *Wikipedia. The Free Encyclopedia*.

https://en.wikipedia.org/wiki/Greek_language (ბოლო ნახვა 07.10.2022)

Greek language question. (n.d.). In *Wikipedia. The Free Encyclopedia*.

https://en.wikipedia.org/wiki/Greek_language_question (ბოლო ნახვა 07.10.2022)

Grimm, J. (1819-1837). *Deutsche Grammatik*. Göttingen: Dieterichsche Buchhandlung.

Grimm, W. (1812–1815). *Kinder- und Hausmärchen* (with Jacob Grimm). Berlin: Realschulbuchhandlung.

Herder, J. G. (1772). *Abhandlung über den Ursprung der Sprache*. In M. N. Forster (Ed.), *Philosophical Writings*. Cambridge: Cambridge University Press (English translation available).

Jespersen, O. (1922) *Language, its Nature, Development and Origin* (LONDON: GEORGE ALLEN & UNWIN LTD.)

Jespersen, O. (1894). *Progress in Language: With Special Reference to English*. London: S. Sonnenschein.

Jespersen, O. (2022). Editors of *Encyclopaedia, Encyclopedia Britannica*.

<https://www.britannica.com/biography/Otto-Jespersen>

McElvenny, J. (2013). *Otto Jespersen and progress in international language*. In “History and Philosophy of the Language Sciences” Otto Jespersen and progress in international language | History and Philosophy of the Language Sciences (hiphilangsci.net).

Rastorguyeva, T. (1983). *A History of English*. Moscow «Vysšaya Škola».

STEPBible (STEP - Scripture Tools for Every Person). (2022).

<https://www.stepbible.org/?q=version=THGNT|reference=John.18&options=VGNHU>
და

<https://www.stepbible.org/?q=version=THGNT|reference=Mark.14&options=VGNHU>

Swedish language. (n.d.). In *Wikipedia. The Free Encyclopedia*.

https://en.wikipedia.org/wiki/Swedish_language (ბოლო ნახვა 07.10.2022)

Wulfila Project. (1997). University of Antwerp

<http://www.wulfila.be/gothic/browse/> (ბოლო ნახვა 06.11.2022)

რეიფილდი, დ. (2006). „დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი“ (დესკტოპ-აპლიკაცია).

ქართულ-აზერბაიჯანული ლექსიკონი. (n.d.).

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=49> (ბოლო ნახვა 07.10.2022)

ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონი. (n.d.).

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=32> (ბოლო ნახვა 07.10.2022)

ქართულ ენის განმარტებითი ლექსიკონი. (n.d.). ენის მოდელირებს ასოციაცია.

<http://www.ena.ge/explanatory-online>

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. (2008). ახალი რედაქცია. ტომი I (ა-ბ). რედაქტორი ავ. არაბული. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. (2010). ახალი რედაქცია. ტომი II (გ). მთავარი რედაქტორი ავ. არაბული. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ქართული ენის ეროვნული კორპუსი. (2012).

<http://www.gnc.gov.ge> (ბოლო ნახვა 07.10.2022)

ქართული ლექსიკონი. (n.d.)

<https://www.ganmarteba.ge> (ბოლო ნახვა 07.10.2022)

ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული ლექსიკონი. (n.d.)

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=54> (ბოლო ნახვა 07.10.2022)